

№ _____

ერთის მხრივ _____ (პირადი № _____)
პირადობის № _____) შემდგომ „მონაწილე“, მეორეს მხრივ შპს აიესაი ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი: 404412845) შემდგომ „აიესაი“ და მესამე მხრივ ასოციაცია აისეკ საქართველო (საიდენტიფიკაციო კოდი: 200215338) შემდგომ „აისეკი“ ვთანხმდებით შემდეგზე:

1. აიესაის შესახებ

1.1 პიროვნული განვითარების სემინარი გულისხმობს გამოცდილებას სადაც:

- ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება გამოიკვლიონ საკუთარი პიროვნების სისუსტეები, ძლიერი მხარეები, პოტენციალი, უნარები და ინტელექტის დონე, რომ შემდგომში ეფექტურად მოახდინონ თვით-იდენტიფიცირება, თვით-რეალიზაცია და ლიდერული უნარ-ჩვევების სრულყოფა.
- სემინარი მოიცავს რვა სესიას: მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ღირებულებები და ხედვა, მიზნის დასახვა, ლიდერული უნარ-ჩვევები, დროის მართვა, თვით-რეალიზაცია, ეფექტური კომუნიკაცია, შემაჯამებელი სემინარი.

1.2 აიესაის სემინარი არ გულისხმობს შემდეგს:

- აკადემიური ღირებულების (კრედიტი, ა.შ.) მიღებას, რომლის წარდგენაც შესაძლებელია აკრედიტაციის მქონე სასწავლებელში.

2. აიესაის როლი და პასუხისმგებლობები

2.1 აიესაის მოსამზადებელი ჯგუფის პასუხისმგებლობები

- შესარჩევი ტურის ჩატარება, სადაც შეირჩევა ჯგუფი „პიროვნული განვითარების სემინარისთვის“.
- რვა სესიის ჩატარება ყოველ სამუშაო დღეს, სადაც თითოეული სესია გასტანს საათ ნახევარს.
- სესიის ფარგლებში მიღებული მონაწილის პირადი ინფორმაციის დაგროვება და ასლის შექმნის გარეშე, კონფიდენციალურად მხოლოდ მონაწილისთვის გადაცემა რვა სესიის დასრულებისთანავე.
- სესიების დასრულებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა გადასცეს მონაწილეს „პიროვნულ განვითარების სემინარში“ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

3. აისეკის შესახებ

3.1 აისეკის გაცვლითი პროგრამა გულისხმობს:

- უცხო გარემოში პრაქტიკული უნარჩვევების დახვეწასა და სხვადასხვა მეთოდებით დინამიურ პერსონალურ განვითარებას.
- ინტერაქციას მასპინძელი ქვეყნის სოციალური განვითარების საკითხებში და სპეციფიურ ლოკალურ პროექტებში ჩართვას.
- პირადი და კარიერული განვითარების გეგმის შემუშავებას და შემდეგი განვითარების შესაძლებლობის შეთავაზებას.

3.2 აისეკის გაცვლითი პროგრამა არ გულისხმობს შემდეგს:

- არდადეგებს და დასვენების შესაძლებლობას
- საზღვარგარეთ დასაქმების საშუალებას ან მუდმივი საცხოვრებლის პოვნის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ აისეკის პარტნიორი ორგანიზაცია/კომპანიის მიერ იქნება ამ ტიპის შეთავაზება მონაწილისადმი, აისეკი არ იღებს ფასილიტაციის პასუხისმგებლობას და მონაწილე დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებაში.

4. აისეკის როლი და პასუხისმგებლობები

4.1 გამგზავნი ლოკალური კომიტეტის პასუხისმგებლობები:

- მონაწილისთვის აისეკის სემინარში მონაწილეობის პარალელურად აისეკის პროექტების საძიებო სისტემის გამოყენებაში დახმარება.
- ინტენსიური კომუნიკაცია მონაწილესთან პროექტის მორგების პერიოდში;
- პროექტის მოცემულ ვადაში ვერ მოძებნის შემთხვევაში შესთავაზოს ალტერნატიული შესაძლებლობები;
- პროექტის პოვნის შემთხვევაში ამცნოს მონაწილეს დეტალური ინფორმაცია პროექტზე, აისეკის მიმღებ ლოკალურ კომიტეტზე და შესაძლო მონაწილე პარტნიორ ორგანიზაციაზე/კომპანიაზე;
- მონაწილეს პროგრამის შერჩევის განმავლობაში დაუნიშნოს ინდივიდუალურად პასუხისმგებელი პირი, რომელიც იქონიებს უწყვეტ კავშირს გაცვლითი პროგრამის დასრულებამდე;
- პროექტიდან დაბრუნების შემდეგ მისცეს მონაწილეს რეინტეგრაციის საშუალება, რაც დაეხმარება მას საკუთარ გარემოში უკეთ გამოიყენოს გაცვლითი პროგრამით მიღებული გამოცდილება;
- უზრუნველყოს მონაწილეობა აისეკის პროექტების მონაცემთა ბაზასთან წვდომის შესაძლებლობით.

4.2 მიმღები ლოკალური კომიტეტის პასუხისმგებლობები

- პროექტის მიღების შემთხვევაში დროულად შეკრიბოს მონაწილის ყველა საჭირო დოკუმენტაცია (მოწვევა ვიზის მისაღებად)
- მიაწოდოს მონაწილეს პროექტის მორგების შედეგად შერჩეული პროექტის სამუშაოს აღწერილობა (სამუშაო საათები, სამუშაო გარემო, მოსამზადებელი სემინარები და სხვა);
- დახვდეს მონაწილეს ჩასვლის წერტილში (აეროპორტი, ავტოსადგური , ან უზრუნველყოს მონაწილე დანიშნულების წერტილამდე მისასვლელად საჭირო დეტალური ინფორმაციით);
- ვადლებულია მაქსიმალურად შეეცადოს ააცილოს მონაწილეს კულტურული შოკი და გააცნოს ლოკალური კულტურა და საზოგადოება არაუგვიანეს გაცვლითი პროგრამის პირველ კვირას.

5. მონაწილის როლი და პასუხისმგებლობები

- გადაიხადოს სემინარში მონაწილეობის ერთჯერადი გადასახადი 240 ლარი, აიესაის მიერ გაცემული ინვოისის მიხედვით, ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღეში;
- გადაიხადოს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ერთჯერადი გადასახადი 480 ლარი, აისეკის მიერ გაცემული ინვოისის მიხედვით, კონტრაქტზე ხელის მოწერიდან არა უგვიანეს 5 დღეში .
- სრულიად უზრუნველყოს ქვეყნიდან ქვეყანაში მგზავრობის ხარჯები;
- იქონიოს მინიმალური ფინანსური რესურსები მოულოდნელი პრობლემების შემთხვევაში;
- გამგზავნი ლოკალური კომიტეტის მხარდაჭერით შეავსოს AN ფორმა (Acceptance Note-დასტური კონკრეტულ პროექტში მონაწილეობის შესახებ); AN ფორმა ივსება ელექტრონულად, აისეკის პროექტების საძიებო სისტემაში მონაწილის მიერ.
- გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ნებისმიერ ეტაპზე უარის თქმის შესახებ წერილობით შეატყობინოს გამგზავნი ლოკალურ კომიტეტს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;
- დაესწროს გამგზავნი ლოკალური კომიტეტის მოსამზადებელ სემინარებს და აქტიურად ითანამშრომლოს აისეკთან პროგრამის მორგების განმავლობაში;
- დროულად მიაწოდოს ყველა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია მიმღებ ლოკალურ კომიტეტს (ვიზა, დაზღვევა და სხვა);
- გაცვლითი პროგრამის განმავლობაში იქონიოს ინტენსიური კავშირი გამგზავნი ლოკალური კომიტეტის მიერ დანიშნულ პასუხისმგებელ პირთან;
- მოახდინოს ინტეგრაცია მიმღებ ლოკალური კომიტეტის აქტივობებსა და ზოგად საქმიანობაში;
- შეასრულოს პროექტის მიერ დაწესებული ყველა ვალდებულება;
- მიიღოს დამოუკიდებელი და პროაქტიული მონაწილეობა გაცვლითი პროგრამის გარე აქტივობებში;
- მიმღებ ლოკალურ და მთავარ კომიტეტებს მისცეს ობიექტური მოსაზრებები გაცვლითი პროგრამის შესახებ;

6. გადახდის პირობები

6.1 მონაწილე ფარავს სემინარში მონაწილეობის გადასახადს 240 ლარს აიესაის მიერ გაცემული ინვოისის საფუძველზე ერთ ეტაპად.

6.2 მონაწილე ფარავს პროგრამაში მონაწილეობის გადასახადს 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარს აიესაის მიერ გაცემული ინვოისის საფუძველზე ერთ ეტაპად.

აიესაის ინვოისის საბანკო რეკვიზიტები:

საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: GE78TB7685736080100004

სს თიბისი ბანკი

აიესაის ინვოისის საბანკო რეკვიზიტები:

საბანკო კოდი: 204854595

ანგარიშის ნომერი : GE06TB7173636020100007

თიბისი ბანკი, სს

6.1 იმ შემთხვევაში თუ მონაწილე არ გადაიხდის აიესაის 240 (ორას ორმოც) ლარს, ის მონაწილეობას ვერ მიიღებს აიესაის სემინარებში და ვერ გააგრძელებს პროცესს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად;

6.2 იმ შემთხვევაში თუ მონაწილე არ გადაიხდის აიესაის გაცვლითი პროგრამის მონაწილეობის საფასურს, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას აიესაის სემინარებში.

6.3 საშეღავათო პირობების გამოყენების შემთხვევაში , როგორც აიესაის ისე აიესაის საფასურის არ გადახდის დროს ,მონაწილე ვერ მიიღებს მონაწილეობის დამადასტურებელ სერთიფიკატს.

6.4 მონაწილე ვალდებულია ზემოთ აღნიშნული პუნქტები შეასრულოს კონრაქტით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების მიხედვით.

7. თანხის უკან დაბრუნების პირობები

7.1 სემინარის თანხის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს შეექმნა ჯანმრთელობის გამო გადაუდებელი მდგომარეობა და ამ მიზეზით ვერ დასრულდა მთლიანად პროექტში მონაწილეობას. ამ შემთხვევაში მონაწილემ სემინარში მონაწილეობამდე არა უგვიანეს 1 დღით ადრე უნდა გაუგზავნოს აიესაის ჯანმრთელობის შესაბამისი ცნობა ელექტრონულად. ნებისმიერი სხვა მიზეზით, მათ შორის გადახდის შემდგომ მონაწილეობის გადაფიქრების შემთხვევაში თანხა მონაწილეს არ დაუბრუნდება, თუმცა მონაწილეს აქვს უფლება გადადოს მონაწილეობა შემდეგ ჯგუფში ხელშეკრულების მოქმედების ვადებში. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ხელშეკრულების ვადებში თავისი ნებით არ მიიღებს სემინარში მონაწილეობას, მას თანხა არ დაუბრუნდება და მონაწილეობას ვერ მიიღებს სემინარში.

7.2 გაცვლითი პროგრამის გადასახადის თანხის უკან დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აისეკის წარმომადგენელი მონაწილეს არ გაუგზავნის 3 სხვადასხვა საზღვარგარეთ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობას ელექტრონულად. ნებისმიერი სხვა მიზეზით, მათ შორის გადახდის შემდგომ მონაწილეობის გადაფიქრების შემთხვევაში თანხა მონაწილეს არ დაუბრუნდება, თუმცა მონაწილეს აქვს უფლება გადადოს მონაწილეობა შემდეგ პერიოდში ხელშეკრულების მოქმედების ვადებში. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ხელშეკრულების ვადებში თავისი ნებით არ მიიღებს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას, მას თანხა არ დაუბრუნდება და მონაწილეობას ვერ მიიღებს გაცვლით პროგრამაში

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია ხელმოწერიდან ერთი წლის (12 თვე) განმავლობაში..

8.2 აისეკის გამგზავნი ლოკალური კომიტეტი უფლებამოსილია ვადის გასვლის შემდეგ შეაფასოს მონაწილე მისი ჩართულობისა და აქტივობის მიხედვით და მიიღოს გადაწყვეტილება კონტრაქტის განხანგრძლივების შესახებ;

9. ხელშეკრულების შეწყვეტა და დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია თუ რომელიმე მხარე არსებითად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.2 ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას თუ ეს გამოწვეულია გადაუღებელი ძალის შედეგად, კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებითა და ქმედებებით, სასამართლო გადაწყვეტილებებით და სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან მიმართონ ყველა შესაძლო ზომას, ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. ოფიციალური ბეჭედი და ხელმოწერა

შპს აიესაი ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა

გიორგი დოლიძე

დირექტორი

ხელმოწერა:

ააიპ აისეკ საქართველო

მოჰამედ საფვათ ნიაზი მოჰამედ

პრეზიდენტი 2018-2019

ხელმოწერა:

12. მონაწილის თანხმობის დამოწმება

მე, მონაწილე, ვიზიარებ და ვეთანხმები ინფორმაციას 1. აიესაის შესახებ და 2. აისეკის შესახებ, მათ (აიესაი და აისეკის) როლსა და პასუხისმგებლობებს, მონაწილის როლს და პასუხისმგებლობებს და ვადასტურებ ამ ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის მართებულობასა და სისწორეს.

მონაწილის სახელი, გვარი

.....

ხელმოწერა:

თარიღი: